

0311 ეკონომიკა ECONOMICS

მსოფლიოს ფინანსური სისტემის განვითარება, მნიშვნელობა და თანამედროვე

გამოწვევები

(ანალიტიკური მიმოხილვა)

თამარ ჩაჩანიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

E-mail: tamar_chachanidze@yahoo.com

რეზიუმე

მსოფლიო ფინანსური სისტემა წარმოადგენს თანამედროვე ეკონომიკის მთავარ საყრდენს. ამ სისტემაში შემავალი ფინანსური ინსტიტუტები გლობალურ დონეზე ემსახურება კაპიტალის მოძრაობას, საერთაშორისო ვაჭრობისა და ინვესტიციების მხარდაჭერას. მისი წარმოშობა-განვითარება უძველესი დროიდან იწყება და მუდმივად განიცდის ცვლილებებს. მიუხედავად ამისა, თანამედროვე გამოწვევები, როგორიცაა: გეოპოლიტიკური დამაბულოებები, ქვეყნებს შორის საომარი კონფლიქტები, ინფლაცია, კიბერუსაფრთხოება, კლიმატის ცვლილება და კრიპტოვალუტების რეგულირების პრობლემები, ქმნის სირთულეებს მსოფლიო ფინანსურ სისტემაში. საქართველოს ფინანსური სექტორი არ არის გამონაკლისი და შესაბამისად განიცდის ინფლაციის, სავალუტო რისკებისა და ინვესტიციების ნაკლებობის პრობლემებს, რაც ხელს უშლის ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ განვითარებას. ამ პირობებში მნიშვნელოვანია ფინანსური პოლიტიკის მუდმივი გაუმჯობესება და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება, რაც უპირობოდ შეუწყობს ხელს მდგრადი და სტაბილური ფინანსური გარემოს უზრუნველყოფას.

საკვანძო სიტყვები: საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, საფონდო ბირჟა, ფასიანი ქაღალდები, ფინანსური სისტემა, კაპიტალი, ბრეტონ-ვუდსის კონფერენცია.

შესავალი

მსოფლიო ფინანსური სისტემა წარმოადგენს თანამედროვე ეკონომიკის ფუნქციონირების მთავარ საყრდენს. ის უზრუნველყოფს კაპიტალის მოძრაობას/განაწილებას, ხელს უწყობს საერთაშორისო ვაჭრობას და ინვესტიციებს და ამავდროულად უზრუნველყოფს მაკროეკონომიკურ სტაბილურობას. დღევანდელი საფინანსო ინფრასტრუქტურა მაღალტექნოლოგიური და ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულია, თუმცა იგი ასწლეულების განმავლობაში ყალიბდებოდა. მისი სიღრმისეული გაგება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ეკონომისტებისა და პოლიტიკოსებისთვის, არამედ რიგითი ადამიანებისთვისაც, ვინაიდან, თანამედროვე ყოფაში, თითოეული ჩვენგანის ყოველდღიურობა დაკავშირებულია მსოფლიოსთან და დიდწილად დამოკიდებულია გლობალურ საფინანსო სისტემაზე.

ძირითადი ნაწილი

ფინანსური სისტემის უძველესი ფორმები გვხვდება ძველ მესოპოტამიასა და ეგვიპტეში, საკრედიტო და საბანკო ურთიერთობების ელემენტების სახით. შუა საუკუნეებში უკვე ევროპაში: ფლორენციასა და გენუაში ჩნდება სავაჭრო ბანკების ქსელი (მაგ. მედიჩების ოჯახი ფლორენციაში, რომლებიც პირველად იყენებდნენ გაცვლით წერილებს და ორმაგ აღრიცხვას).

თანამედროვე ფინანსების დაბადება შეგვიძლია დავათარილოთ XVII-XVIII საუკუნეებით. მაგალითად: 1694 წელს დაარსდა ინგლისის ბანკი, ხოლო ამსტერდამის საფონდო ბირჟა იქცა პირველი ფასიანი ქაღალდების მუდმივმოქმედ სავაჭრო ბაზრად. წარმოების განვითარებამ და ინდუსტრიალიზაციამ კიდევ უფრო გააძლიერა კაპიტალის მობილიზების მოთხოვნები და საჭიროება, რაც თავისთავად ხელს უწყობდა საბანკო-საფინანსო სექტორის კიდევ უფრო მნიშვნელოვნად განვითარებას.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საფინანსო დარგში კარგად ცნობილი ბრეტონ-ვუდსის სისტემა, რაც თანამედროვე ფინანსურ არქიტექტურის საწყისად შეგვიძლია განვიხილოთ. 1944 წლის ივლისში, ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დასრულებამდე, აშშ-ის ქალაქ ბრეტონ-ვუდსში, ნიუ ჰემპშირში, მოეწყო საერთაშორისო კონფერენცია, რომელსაც 44 მოკავშირე ქვეყნის დელეგატები

ესწრებოდნენ. მათი განხილვის საგანი იყო იმ პერიოდისათვის მსოფლიოში არსებული საერთაშორისო პრობლემის – ომის შემდგომი ეკონომიკური ქაოსის თავიდან აცილების გზების ძიება და ახალი, თანამედროვე გლობალური ეკონომიკური წესრიგის შექმნა. შეხვედრის მთავარი მიზანი იყო მეორე მსოფლიო ომის შემდგომი, არაპროგნოზირებადი და არასტაბილური ეკონომიკის მდგრად მდგომარეობაში მოყვანა, საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობა და ფინანსური კრიზისების აღმოფხვრა. კონფერენციაზე დადგინდა შემდეგი:

1. თითოეულმა ქვეყანამ დაადგინდა საკუთარი ეროვნული ვალუტის ფიქსირებული კურსი აშშ დოლართან მიმართებაში.
2. აშშ დოლარი მიბმული იყო ოქროს ფასზე – 1 უნცია ოქრო = 35 დოლარი.
3. დოლარი გახდა გლობალური სარეზერვო ვალუტა.
4. დადგინდა სავალუტო ფონდის (IMF) და მსოფლიო ბანკის შექმნა და სხვ.

ზემოთ აღნიშნულმა მოიტანა შემდეგი შედეგები:

ბრეტონ-ვუდსის შეთანხმების დადებითი შედეგები (1945–1971):

სავალუტო სტაბილურობა – ფიქსირებულმა კურსებმა შეამცირა სპეკულაციური გარიგებები.

ეკონომიკური აღორძინება – ევროპისა და იაპონიის ეკონომიკებმა სწრაფი ზრდა განიცადეს.

ქვეყნები ეკონომიკურად უფრო მეტად ინტეგრირდნენ ერთმანეთთან.

უარყოფითი მოვლენები და პრობლემები:

1960-იან წლებში გაჩნდა ეჭვები დოლარის ოქროში კონვერტაციის უნარზე.

ზოგიერთმა ქვეყანამ (მაგ. საფრანგეთმა) მასობრივად დაიწყო დოლარის ოქროში გადაცვლა, რამაც შეამცირა აშშ-ის ოქროს რეზერვები.

1971 წელს პრეზიდენტმა რიჩარდ ნიქსონმა ოფიციალურად შეწყვიტა დოლარის ოქროში კონვერტაცია, რამაც **ფაქტობრივად დაასრულა ბრეტონ-ვუდსის სისტემა.**

ე.წ. „ნიქსონის შოკი“ გახდა არსებული სისტემის დასასრული და მცურავი ვალუტების სისტემის აღორძინების დასაწყისი.

ბრეტონ-ვუდსის სისტემის გაუქმების მიუხედავად, მის ინსტიტუტებს – საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი, არ შეუწყვეტია ფუნქციონირება, დღესაც აგრძელებენ თავიანთ საფინანსო საქმიანობას და წარმატებით და მალალ დონეზე ასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს მსოფლიოს ფინანსურ სისტემაში.

მოკლედ განვიხილოთ საერთაშორისო სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის ზოგიერთი ძირითადი მახასიათებელი.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი – ორგანიზაცია, რომლის მიზანია გლობალური ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნება და ქვეყნებისთვის ფინანსური დახმარების გაწევა [1]. მისი მთავარი ამოცანებია:

1. ვალუტის სტაბილურობის ხელშეწყობა;
2. საჭირო ფინანსური დახმარების შეთავაზება კრიზისში მყოფი ქვეყნებისთვის;
3. ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა;
4. სავალუტო ურთიერთობების დარეგულირება – სხვადასხვა ქვეყნების ფულადი ერთეულების გაცვლითი კურსის სტაბილურობა.

მსოფლიო ბანკი – საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაცია, რომლის მიზანია სოციალური გლობალური განვითარების და სიღარიბის შემცირების ხელშეწყობა, მსოფლიოს ქვეყნების ეკონომიკური განვითარებისთვის საჭირო დაფინანსების უზრუნველყოფა [2].

მსოფლიო ბანკი ერთ-ერთი უმსხვილესი საერთაშორისო ინსტიტუტია, რომელიც მუშაობს განვითარებად ქვეყნებში ინფრასტრუქტურული პროექტების, სოციალურ პროგრამებისა და სხვა განვითარების ინიციატივების დაფინანსებაზე. ამის შესაბამისად, მსოფლიო ბანკის მთავარი ამოცანებია:

1. ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა: მსოფლიო ბანკი უზრუნველყოფს ფინანსურ მხარდაჭერას და ტექნიკურ დახმარებას, რათა დაეხმაროს ქვეყნებს, გააუმჯობესონ თავიანთი ეკონომიკა, განავითარონ ინფრასტრუქტურა, გააძლიერონ გლობალური კონკურენტუნარიანობა და შექმნან მდგრადი სამუშაო ადგილები.
2. სიღარიბის შემცირება: მსოფლიო ბანკი ინვესტირებას ახდენს პროექტებში, რომლებიც მიზნად ისახავს ხალხის ცხოვრების სტანდარტის გაუმჯობესებას, განსაკუთრებით ისინისთვის, ვინც ცხოვრობს სიღარიბეში.

3. სოციალური და ინფრასტრუქტურული განვითარება: მსოფლიო ბანკი მუშაობს სასოფლო მეურნეობის, განათლების, ჯანდაცვის, გარემოს დაცვითი პროექტებისა და სხვა საკითხების მიმართულებით, რათა უზრუნველყოს უკეთესი ცხოვრების პირობები.

გლობალური საფინანსო სისტემის მნიშვნელობა

საფინანსო სისტემა წარმოადგენს მექანიზმს, რომელიც მიზანმიმართულია კაპიტალის გადანაწილებასა და ეკონომიკური ზრდის მხარდაჭერაზე. მისი გამართული ფუნქციონირება გადაწყვეტად მნიშვნელოვანია როგორც ქვეყნების მდგრადი განვითარებისთვის, ისე მისი საერთაშორისო დონეზე ურთიერთობების დაწყებისა და შემდგომი თანამშრომლობისთვის.

გლობალური საფინანსო სისტემის როლი განუსაზღვრელია და ფაქტობრივად აისახება შემდეგ ქმედებებში:

1. ფინანსური რესურსების მობილიზაცია და გადანაწილება.
2. ინვესტიციების დაფინანსება და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა.
3. ვაჭრობის დაფინანსება და სავალუტო ოპერაციების უზრუნველყოფა.
4. რისკების გადანაწილება.
5. ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის მხარდაჭერა.

გლობალური საფინანსო სისტემის სტრუქტურა მოიცავს სხვადასხვა ინსტიტუციებს, ბაზრებსა და რეგულატორებს, რომლებიც ერთმანეთთან შეთანხმებული საქმიანობით უზრუნველყოფენ გლობალური ფინანსური ბრუნვის სტაბილურობას.

მსოფლიო საფინანსო სისტემა წარმოადგენს ერთიან - მთლიან მრავალდონიან სტრუქტურას. ეს სისტემა ერთ მთლიანობაში აერთიანებს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს, ფინანსურ ბაზრებს, გლობალურ და ეროვნულ საფინანსო ინსტიტუტებს და სხვ. ამ სისტემის მდგრადობა დამოკიდებულია მის ბაზისურ სიძლიერეზე, საერთაშორისო თანამშრომლობაზე და ინოვაციებთან ადაპტაციის უნარზე.

თანამედროვე მსოფლიო საფინანსო სისტემას, როგორც ნებისმიერ სხვა სისტემას, ახასიათებს თავისებური სირთულეები და გამოწვევები. ძირითად სირთულეებად და გამოწვევებად მოიაზრება:

1. გეოპოლიტიკური დამაბულობა და ომები.
2. ინფლაცია და უმუშევრობა.
3. კიბერუსაფრთხოება და ფინანსურ ინფრასტრუქტურებზე თავდასხმები.
4. კლიმატის ცვლილება და "მწვანე" ფინანსების როლი.
5. კრიპტოვალუტების რეგულირების დილემა და სხვ.

მოვიყვანოთ თითოეულის ძირითადი მახასიათებელი თვისებები.

გეოპოლიტიკური დამაბულობა, ომები და ეკონომიკური არასტაბილურობა.

უკრაინაში მიმდინარე ომი და ახლო აღმოსავლეთში დღეს არსებული კონფლიქტები უპირობოდ ზრდიან ეკონომიკურ და ფინანსურ არასტაბილურობას რეგიონში, რაც უშუალოდ ახდენს გავლენას გლობალურ ეკონომიკურ ზრდაზე. ამასვე აღნიშნავენ ბრუკინგის ინსტიტუტის (Brookings Institution) ანალიტიკოსები და ადასტურებენ, რომ უკრაინაში მიმდინარე ომი და ახლო აღმოსავლეთში არსებული კონფლიქტები დიდ პრობლემებს წარმოშობენ საერთაშორისო სივრცეში. მნიშვნელოვნად ზრდიან რეგიონული და გლობალური ეკონომიკური არასტაბილურობის რისკებს. ამ კონფლიქტების შედეგად, შესაძლოა გაიზარდოს ნავთობის ფასები, რაც დამატებით ზეწოლას მოახდენს გლობალურ ეკონომიკაზე. ბრუკინგის ანალიტიკოსები ხაზს უსვამენ, რომ ახლო აღმოსავლეთი წარმოადგენს მსოფლიოში ნავთობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მწარმოებელ რეგიონს, რომელიც უზრუნველყოფს გლობალური მოთხოვნის დაახლოებით 30%-ს. რეგიონში არსებულმა დამაბულობამ და კონფლიქტებმა, როგორიცაა ისრაელსა და ჰამასს შორის მიმდინარე ომი, შესაძლოა გამოიწვიოს ნავთობის მიწოდების შეფერხება, რაც გაზრდის ნავთობის ფასებს. მაღალი ნავთობის ფასები კი, თავის მხრივ, გაზრდის ინფლაციას და შეამცირებს ეკონომიკურ ზრდას [3].

ინფლაცია, უმუშევრობა და მაღალი საპროცენტო განაკვეთები – მსოფლიოში ინფლაცია კვლავ მაღალი რჩება, რაც აიძულებს ცენტრალურ ბანკებს, როგორიცაა აშშ-ის ფედერალური რეზერვი და ევროპის ცენტრალური ბანკი, შეინარჩუნონ მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ეს ცალსახად ზრდის

სესხების ღირებულებას და ართულებს ეკონომიკურ ზრდას, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, რაც ასევე გამოძახილს პოულობს უმუშევრობის ზრდაში.

კიბერუსაფრთხოება და ფინანსურ ინფრასტრუქტურებზე თავდასხმები – ციფრული ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება, რისი სიჩქარეც დღითი-დღე მატულობს, თავისთავად ზრდის კიბერუსაფრთხოების რისკებს. კიბერუსაფრთხოება ჯერ კიდევ ახალი მოვლენაა ჩვენს ცხოვრებაში და მისი გამკლავების მეთოდები, ხერხები და საშუალებები სათანადო დონეზე არ არის შემუშავებული. აქედან გამომდინარე, ფინანსურ სექტორში კიბერშეტევებმა, რისი საწინააღმდეგო ეფექტიანი ქმედებები ჯერ არ გაგვაჩნია, შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ფინანსური ზარალი. ეს განსაკუთრებით დიდი დოზით აისახება მომხმარებელზე და მათი ნდობის ფაქტორზე. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ Carbanak ჯგუფის კიბერშეტევები (2014–2018) – Carbanak ჯგუფმა, რომელიც სავარაუდოდ რუსეთიდან მოქმედებდა, განახორციელეს ფინანსური ინსტიტუტების კიბერშეტევები. ეს ჯგუფი იყენებს მავნე (Malware, საზიანო, კომპიუტერული ვირუსი) პროგრამას, რომელიც შეჰყავთ საბანკო პროგრამების სისტემებში ინტერნეტადგილობრივი (კიბერდანამაჟულის) ელექტრონული ფოსტის მეშვეობით და შედეგად ახერხებენ ბანკებიდან ფულის მოპარვას. ნათქვამია, რომ ამ ჰაკერულმა ჯგუფმა ბანკებიდან და კერძო მომხმარებლისგან \$1 მილიარდზე მეტი ოდენობის თანხა მოიპარა, მათ შორის ბანკომატების მანიპულაციით და SWIFT სისტემის გამოყენებით [4]. ეს შემთხვევა ნათლად ასახავს კიბერთავდასხმების გავლენას მომხმარებელთა ნდობის დაკარგვაზე.

კლიმატის ცვლილება და “მწვანე” ფინანსების როლი – კლიმატის ცვლილება (გლობალური დათბობა, წყალდიდობები და გვალვები) სერიოზულ საფრთხეს უქმნის ეკონომიკას, ეკოსისტემებს და ადამიანის ჯანმრთელობას. „მწვანე“ ფინანსები მოიცავს ფინანსურ ინსტრუმენტებსა და ინვესტიციებს, რომლებიც მიმართულია გარემოსდაცვითი მდგრადობის ხელშეწყობისკენ. მათ შორისაა მწვანე ობლიგაციები, რომლებიც გამოიყენება ისეთი გარემოსდაცვითი პროექტების დაფინანსებისთვის, როგორიცაა განახლებადი ენერგია, ენერგოეფექტურობა და დაბინძურების კონტროლი. მწვანე ობლიგაციები ემყარება საერთაშორისო კაპიტალის ბაზრის ასოციაციის (ICMA) მწვანე ობლიგაციების პრინციპებს და მათი შემოსავლები გამოიყენება წინასწარ განსაზღვრული პროექტებისთვის [5].

კრიპტოვალუტების რეგულირების დილემა – კრიპტოვალუტების რეგულირების დილემა გლობალურ დონეზე ტექნოლოგიურ, იურიდიულ და პოლიტიკურ ასპექტებთან დაკავშირებულ რამდენიმე მნიშვნელოვან გამოწვევას მოიცავს:

1. **გლობალური რეგულაციების არაერთგვაროვნება:** კრიპტოვალუტების მიმართ ქვეყნების მიდგომები განსხვავებულია, რაშიც იგულისხმება სხვადასხვა კრიპტო აქტივების განსხვავებულად შეფასება, რაც ქმნის სამართლებრივ არეულობას [6].
2. **ტექნოლოგიური სირთულეები:** კრიპტოვალუტების ტრანზაქციები დეცენტრალიზებულია და ხშირად ანონიმურია, რაც ართულებს მათ მონიტორინგს და რეგულირებას.
3. **კრიპტო ბაზრების სწრაფი ევოლუცია:** ახალი ტექნოლოგიები რეგულატორებს აყენებს გამოწვევის წინაშე, ვინაიდან რეგულაციები ვერ ეწევა კრიპტოვალუტების განვითარებას [7].
4. **კრიპტოვალუტები განვითარებად ქვეყნებში:** მრავალი განვითარებადი ქვეყანა, განიცდის კრიპტოვალუტების რეგულირების სირთულეს, რაც ზრდის მათ გამოყენებას უკანონო საქმიანობებში.

აღნიშნული გამოწვევების მიუხედავად, აშშ და ევროკავშირი ცდილობს შექმნას უფრო მკაფიო რეგულაციები კრიპტოვალუტებთან მიმართებაში. მაგალითად, აშშ-ში განიხილება GENIUS აქტი, რომელიც მიზნად ისახავს სტეიბლკოინების რეგულირებას, ხოლო ევროკავშირში მოქმედებს MiCA რეგულაცია, რომელიც კრიპტო აქტივების ბაზრებს მოიცავს [8].

კრიპტოვალუტების რეგულირების დილემა მოითხოვს საერთაშორისო თანამშრომლობას, რათა შეიქმნას ერთიანი და ეფექტური სამართლებრივი ჩარჩო.

საქართველოს ფინანსური სექტორის გამოწვევები

ბუნებრივია, აღნიშნული პროცესები პირდაპირ გავლენას ახდენს საქართველოს საფინანსო სისტემაზე, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო ფინანსური სისტემის ერთ-ერთ რგოლს. ამიტომ, არანაკლები სირთულეები და პრობლემებია საქართველოს ფინანსურ სექტორშიც.

განვიხილოთ ძირითადი მათგანი:

1. ინფლაცია და საპროცენტო განაკვეთები – 2021–2023 წლებში საქართველოში საშუალო წლიურმა ინფლაციამ 9-12%-ს გადააჭარბა, რაც მნიშვნელოვან ზეწოლას ახდენს მომხმარებლის მსყიდველუნარიანობაზე და ბიზნესის საბანკო დაკრედიტების პირობებზე. ეროვნული ბანკი ინფლაციის შესაკავებლად მიმართავს მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებას, კერძოდ, რეფინანსირების განაკვეთის ზრდას. რაც 2023 წლის მონაცემებით ეს მაჩვენებელი 10.5% იყო [9]. აღნიშნული ზრდის საკრედიტო რესურსების ფასს და ზღუდავს ეკონომიკურ აქტივობას, განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოებისთვის, რომლებიც განსაკუთრებულად არიან დამოკიდებულნი საბანკო კრედიტებზე.

2. სავალუტო რისკები და ლარის კურსის მერყეობა – მნიშვნელოვანი სავალუტო რისკი უკავშირდება ლარის მერყეობას აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებაში. ეს ქმნის ბუფერულ ეფექტს როგორც მომხმარებლებისთვის, ისე ბიზნესისთვის, რომლებიც უცხოურ ვალუტაში სესხულობენ, ხოლო შემოსავალს ლარში იღებენ. შედეგად, ლარის გაუფასურება ზრდის დავალიანების ტვირთს და საფრთხეს უქმნის ფინანსურ მდგრადობას.

3. საბანკო სექტორის სტაბილურობა – საქართველოს საბანკო სექტორი საკმაოდ კონცენტრირებულია – ორი წამყვანი ბანკი (TBC და ბანკი საქართველო) იკავებს ბაზრის საკმაოდ დიდ (დაახლოებით 70-75%) წილს. მიუხედავად სექტორის მაღალი კაპიტალიზაციისა და რეგულაციების სტანდარტების შესაბამისობისა, მაღალი საპროცენტო განაკვეთები და საკრედიტო პორტფელის დივერსიფიკაციის ნაკლებობა ქმნის სისტემურ რისკებს კრიზისული სცენარის შემთხვევაში.

4. ინვესტიციების ნაკლებობა – მაღალი საპროცენტო განაკვეთები, ეკონომიკური და პოლიტიკური არასტაბილურობა განსაკუთრებულად ართულებს უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, რაც შეიწინააღმდეგება კიდევ ბოლო პერიოდში. პოლიტიკური და ეკონომიკური გაურკვევლობა ხელს უშლის უცხოური ინვესტიციების მუდმივ დინამიკას. მაგალითისთვის, 2023 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ შეადგინა 1.6 მლრდ აშშ დოლარი, რაც შემცირებული მაჩვენებელია წინა წლებთან შედარებით [10].

5. დემოგრაფიული ცვლილებები – დემოგრაფიული ცვლილებები, როგორიცაა მოსახლეობის დაბერება და ემიგრაცია, ართულებს შრომის ბაზრის სტაბილურობას. ეს ზრდის სოციალური ხარჯებს და ართულებს ეკონომიკურ ზრდას.

დასკვნა

მსოფლიოს საფინანსო სისტემა მუდმივად ვითარდება და ხელს უწყობს მდგრად, გლობალურ ეკონომიკურ განვითარებას. ეს პროცესი საკმაოდ რთული სამართავი და მწელად პროგნოზირებადია, ამიტომ, სისტემა მრავალგვარი გამოწვევების წინაშე დგას. ამ გამოწვევების მიზეზები: გეოპოლიტიკური კონფლიქტები, ინფლაცია, კიბერუსაფრთხოება, კლიმატის ცვლილება და კრიპტოვალუტების რეგულირების სირთულეები იწვევს სისტემურ რისკებს და საჭიროებს სწრაფ, მოქნილ და შეთანხმებით მოქმედებას საერთაშორისო დონეზე. საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ეფექტიანი საფინანსო პოლიტიკისა და სტრატეგიების შემუშავება ინფლაციის კონტროლის, სავალუტო სტაბილურობის უზრუნველყოფისა და ინვესტიციების მოზიდვის მიმართულებით. ეს ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ მდგრადობას და განვითარებას. მხოლოდ სისტემური მიდგომით და გლობალურ გამოწვევებზე ადეკვატური პასუხით შეიძლება ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნება და ეკონომიკური წინსვლა.

ლიტერატურა

1. International Monetary Fund. Georgia and the IMF. <https://www.imf.org/en/Countries/GEO>
2. World Bank. Georgia overview. <https://www.worldbank.org/en/country/georgia>
3. Brookings Institution. (2023). The Middle East conflict is threatening to cripple a fragile global economy. <https://www.brookings.edu/>
4. Kaspersky. The Great Bank Robbery: Carbanak Cybergang steals \$1 billion from 100 financial institutions worldwide. <https://usa.kaspersky.com/>
5. International Monetary Fund. Climate change and green finance. <https://www.imf.org/en/Topics/climate-change/green-finance>

6. LinkedIn. (2024). Strategic analysis of global cryptocurrency regulation. <https://www.linkedin.com/>
7. Money Mentor. Cryptocurrency regulation: Global challenges and trends. <https://money-mentor.org/>
8. Barron's. Stablecoin bill set to pass Senate. What it means for crypto. <https://www.barrons.com/>
9. საქართველოს ეროვნული ბანკი. (2023). საჯარო ანგარიში. თბილისი.
10. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2023). ეკონომიკური მონაცემები. თბილისი.

**The Development, Significance, and Contemporary Challenges of the Global Financial System
(Analytical Review)**

Tamar Chachanidze

Abstract

The global financial system serves as a cornerstone of the modern economy. Financial institutions within this system facilitate the movement of capital, support international trade, and enable global investment flows. Its origins can be traced back to ancient times, and it has undergone continuous evolution ever since. Nevertheless, the system faces a range of contemporary challenges, including geopolitical tensions, armed conflicts between states, inflation, cybersecurity threats, climate change, and the complexities surrounding cryptocurrency regulation. These issues create substantial difficulties for the stability and functionality of the global financial framework. Georgia's financial sector is no exception. It is similarly affected by inflation, currency risks, and a shortage of investment, all of which hinder the country's path toward sustainable economic development. In this context, the continuous improvement of financial policy and the deepening of international cooperation are essential. These efforts are critical for fostering a stable and sustainable financial environment.

Keywords: International Monetary Fund (IMF), World Bank, stock exchange, securities, financial system, capital, Bretton-Woods Conference.